იანვარი, 2016

NEWSLETTER

IDFI

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი



ღია მონაცემები: ცვლილებებისა და ინოვაციების წყარო

IDFI-მ USAID-ის პროგრამის - "დემოკრატიული მმართველობის ინიციატივა (GGI) საქართველოში" დაფინანსებული პროექტის „ღია მონაცემები: ცვლილებებისა და ინოვაციების წყარო" შემაჯამებელი ანგარიშის პრეზენტაცია გამართა.

ღონისძიებაზე წარმოადგინეს კვლევის „ღია მონაცემების ხელმისაწვდომობა საქართველოში" შედეგები, რომელიც ეფუძნებოდა IDFI-ის მიერ განხორციელებულ, 106 საჯარო დაწესებულების მონაცემთა ბაზების, რეესტრებისა და ელექტრონული რესურსების მონიტორინგს.

კვლევამ ცხადჰყო, რომ ღია მონაცემების პორტალზე დღეის მდგომარეობით გამოქვეყნებულ ღია მონაცემთა რაოდენობა (117 ღია მონაცემი) რეალურად არ შეესაბამება საქართველოს საჯარო დაწესებულებებში აღნიშნული კუთხით არსებულ რესურსს.

პრეზენტაციის ფარგლებში წარმოდგენილ იქნა IDFI-ის შექმნილი ვებ აპლიკაციები.

ინფორმაციის თავისუფლება - გზამკვლევი საჯარო დაწესებულებებისთვის

ნაშრომი ეფუძნება IDFI-ს საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის პრაქტიკულ მაგალითებს და მოიცავს, ფაქტობრივად, საქართველოს მთელს საჯარო სივრცეს.

გზამკვლევში დეტალურადაა განხილული ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საკითხები, განმარტებულია საჯარო ინფორმაციის არსი და მოქალაქეების უფლებები საჯარო ინფორმაციის გამოთხოვასთან დაკავშირებით.

გზამკვლევის მიზანია დაინტერესებულ პირებს მისცეს სათანადო თეორიული ცოდნა, დაეხმაროს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მართებულ გაგებასა და გამოყენებაში.

ნაშრომი ხელმისაწვდომია ქართულ, ინგლისურ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

თვის მოვლენა:

IDFI-ს თხოვნის საფუძველზე, ბოლშევიკური რუსეთის მიერ დახვრეტილი „სამხედრო ცენტრის“ გმირების ხსოვნის უკვდავსაყოფად, მათი საცხოვრებელი მისამართების მიხედვით, ქალაქის მერია მემორიალურ დაფებს განათავსებს.

სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020

სტრატეგიული გეგმა საქართველო 2020 - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერება მიზნად ისახავს სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების მაქსიმალურად ფართო სპექტრის დაინტერესების გამოწვევასა და მათი ცოდნის გაღრმავებას საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია “საქართველო 2020”-თან დაკავშირებით.

იანვრის თვეში პროექტის ფარგლებში IDFI-ს ორგანიზებით აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა სალექციო კურსი „საქართველო 2020 – კონკურენციის რეგულირება სატელეკომუნიკაციო სფეროში“. კურსს უძღვებოდნენ IDFI-ის და ტელეკომუნიკაციის მიმართულების ხელმძღვანელი – უჩა სეთური და IDFI-ის პროექტის კოორდინატორი – საბა ბუაძე.

პროექტის ფარგლებში, IDFI-ის ორგანიზებით ასევე გამართა დისკუსია „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა - 2015 წლის შეჯამება“ და გამოქვეყნდა შემდეგი სტატიები:

- ჯანდაცვის ხარჯების შეკავების მექანიზმები და საქართველოს ჯანდაცვის სისტემა
- საპენსიო სისტემის რეფორმის მიმდინარეობის ანალიზი
- სამედიცინი ორგანიზაციების მესაკუთრეობის ფორმები, მსოფლიო პრაქტიკა და საქართველო

საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერა ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში

პროექტის მიზანია საქართველოს პარლამენტის ღიაობის და გამჭვირვალობის გაზრდა და საკანონმდებლო პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფა OGP-ში პარლამენტის აქტიური ჩართულობის გზით.

2015 წლის 30 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის #195/3 ბრძანებით შეიქმნა ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანი იქნება საპარლამენტო გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში საქართველოს პარლამენტის სამოქმედო გეგმების შემუშავება და მათი განხორციელების მონიტორინგი.

ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნის ინიციატივა ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI)

სხვა აქტივობები:

- არ შემდგარი ლუსტრაცია საქართველოში
- რუსეთის საოკუპაციო ჯარების მიერ დაკავებული საქართველოს მოქალაქეები 2009-2015
- IDFI-ის განცხადება მთავარი პროკურატურისადმი პრეზიდენტის მრჩევლის მიმართვასთან დაკავშირებით
- IDFI-ის ტრენინგი საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის შესახებ
- IDFI-მ მოიპოვა ორწლიანი დაფინანსება ორგანიზაციული განვითარებისთვის
- გაუქმებული საფასური საქართველოს ეროვნულ და შსს არქივებში დაცულ ელექტრონული დოკუმენტების გაცემასა და გაცნობაზე
- კოალიციამ გააკეთა განცხადება ტაბულას ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტთან დაკავშირებით
- კოალიციამ მოუწოდა შპს „მომხმარებელთა საყურადღებოდ“ და შპს „თბილისის მიკროავტობუსის“ ხელმძღვანელობას გაეუქმებინათ დადებული ხელშეკრულება, რომელიც რადიო-მონოპოლიის დამყარებას გულისხმობს.